

შპს „ჯითიეი ტრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	123013	1914	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	540843	108909	3.2
მარაგები	786775	710558	3.3
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	19228	8041	3.4
ძირითადი საშუალებები	124809	139664	3.5
გაცემული სესხები	1061376	990647	3.4
სულ აქტივები	2656044	1959733	
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	487726	248251	3.6
საგადასახადო ვალდებულებები	13069	15772	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	258105	121335	3.7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1845487	839344	3.7
სულ ვალდებულებები	2604387	1224702	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1084244	1084244	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1032587	(349213)	
სულ საკუთარი კაპიტალი	51657	735031	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2656044	1959733	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 20.09.2021 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	12504862	12070858	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(11367982)	(10943272)	
საერთო მოგება	1136880	1127586	
მიწოდების ხარჯი	(612486)	(428160)	3.8
იჯარის ხარჯი	(97086)	(107097)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1018646)	(1062805)	3.9
სულ საოპერაციო ხარჯები	(1728218)	(1598062)	
საოპერაციო მოგება	(591338)	(470476)	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	22359	6392	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	(114395)	(111541)	3.10
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-683374	-575625	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-683374	-575625	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-683374	-575625	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	735031	1459847	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-149191	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	51657	735031	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 20.09.2021 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(900673)	244782
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(11459)	(33835)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1035251	(205569)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	123119	5378
სავალუტო კურსის ეფექტი	(2020)	(3501)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1914	37
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	123013	1914

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 20.09.2021 წ.

დირექტორი: _____ ლევან საკანდელიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯითივი ტრიდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 406167650. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვ. ივერიელის ქ., N 36-38, ბ. 18, თუმცა მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, რევაზ მამისაშვილის #83.

1.2. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01024011087, ლევან საკანდელიძე	10.00%
01011005607, გიორგი ტალახაძე	10.00%
სააქციო საზოგადოება სს დაკო, 405197781	80.00%
სულ	100.00%

1.3. კომპანიის დირექტორია ლევან საკანდელიძე, (პ.ნ. 01024011087)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ალუმინის სხმულების წარმოება და რეალიზაცია. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები),

რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2019 წელს: 1 USD=2.7789 ლარი;

1 EUR=3.1226 ლარი.

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9913 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	122987	1950
ფული საბანკო ანგარიშებზე/ოვერდრაფტი	26	(36)
სულ:	123013	1914

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	551105	120706
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(82665)	(26822)
გადახდილი ავანსები	22480	14976
მოთხოვნა თანამშრომელთა მიმართ	49923	50
სულ:	540843	108910

3.3. მარაგები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნედლეული და მასალები	782105	652832
მზა პროდუქცია	4670	57726
სულ:	786775	710558

კომპანია მარაგებზე აღრიცხავს ალუმინის სხულის საწარმოებლად საჭირო სხვადასხვა ლითონებსა და მარილებს. მზა პროდუქცია კი არის ალუმინის სხმული, რომელიც

განკუთვნილია გასაყიდად. ასევე წარმოების შედეგად მიიღება წუნდებული პროდუქცია, რომელიც ისევ ნედლეულზე აღირიცხება, რდაგნ ხდება მისი ხელახალი გამოყენება წარმოების პროცესში.

3.4. გაცემული სესხები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
12 თვემდე მისაღები	19228	8041
ერთი წლის შემდეგ მისაღები	1061376	990647
სულ:	1080604	998688

3.5. ძირითადი საშუალებები:

ისტორიული ღირებულება	მანქანა-დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საოფისე აღჭურვილობა	სხვა	სულ
1 იანვარი 2018	145,254	25,712	5,127	13,048	189,141
შეძენა	18,620			15,216	33,836
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2018	163,874	25,712	5,127	28,264	222,977
შეძენა	1,682	1,000	2,526	6,251	11,459.71
ჩამოწერა	(864)		(1,195)	(623)	(2,682)
31 დეკემბერი 2019	164,692	26,712	6,458	33,892	231,754
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2018	(19,346)	(9,772)	(591)	(5,863)	(35,572)
დარიცხვა	(33,227)	(7,970)	(1,442)	(5,102)	(47,741)
ჩამოწერა					-
31 დეკემბერი 2018	(52,573)	(17,742)	(2,033)	(10,965)	(83,313)
დარიცხვა	(14,074)	(6,454)	(2,027)	(2,765)	(25,320)
ჩამოწერა	676		435	577	1,688
31 დეკემბერი 2019	(65,971)	(24,196)	(3,625)	(13,153)	(106,946)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2018	125,908	15,940	4,536	7,185	153,569
31 დეკემბერი 2018	111,301	7,970	3,094	17,299	139,664
31 დეკემბერი 2019	98,721	2,516	2,834	20,739	124,809

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები	483763	246792
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	3963	1460
სულ:	487726	248252

3.7. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სს "თიბისი ბანკი" (მიმდინარე ნაწილი)	235205	107686
სს "თიბისი ბანკი" (გრძელვადიანი ნაწილი)	664065	930387
სესხი სხვა რეზიდენტი კომპანიისგან (მიმდინარე ნაწილი)	22900	
სესხი სხვა რეზიდენტი კომპანიისგან (გრძელვადიანი ნაწილი)	1181422	
სულ:	2103592	1038073

3.8. მიწოდების ხარჯები

	2019 წელი	2018 წელი
მარკეტინგული ხარჯი	(77987)	(50375)
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	(379381)	(250825)
საბაჟო პროცედურების ხარჯი	(155118)	(126960)
სულ:	(612486)	(428160)

3.9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019 წელი	2018 წელი
დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება	(594773)	(742300)
ცვეთის ხარჯი	(25320)	(74563)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	(55843)	
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(92841)	(69742)
საკონსულტაციო ხარჯი	(67834)	(61128)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	(27850)	(33357)
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	(95550)	(24870)
საგადასახადო ხარჯი	(18473)	(20347)
საბანკო ხარჯი	(24341)	(20222)
მივლინების ხარჯი	(13111)	(11148)
კავშირგაბმულობის ხარჯი	(2709)	(5130)
სულ:	(1018646)	(1062805)

3.10. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი

	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო შემოსავალი	10509	9422
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	24809	19044
საპროცენტო ხარჯი	(140745)	(99827)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(8968)	(40180)
სულ:	(114395)	(111541)

3.11. სასამართლო დავები

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3.13. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2019 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება


წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 20 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო თარიღი		შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	123013	1914	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	540843	108909	3.2
მარაგები	786775	710558	3.3
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	19228	8041	3.4
ძირითადი საშუალებები	124809	139664	3.5
გაცემული სესხები	1061376	990647	3.4
სულ აქტივები	2656044	1959733	
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	487726	248251	3.6
საგადასახადო ვალდებულებები	13069	15772	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	258105	121335	3.7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1845487	839344	3.7
სულ ვალდებულებები	2604387	1224702	
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1084244	1084244	
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-1032587	(349213)	
სულ საკუთარი კაპიტალი	51657	735031	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2656044	1959733	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 20.09.2021 წ.


დირექტორი:  **ლევან საკანდელიძე**

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	12504862	12070858	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(11367982)	(10943272)	
საერთო მოგება	1136880	1127586	
მიწოდების ხარჯი	(612486)	(428160)	3.8
ოჯარის ხარჯი	(97086)	(107097)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1018646)	(1062805)	3.9
სულ საოპერაციო ხარჯები	(1728218)	(1598062)	
საოპერაციო მოგება	(591338)	(470476)	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	22359	6392	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	(114395)	(111541)	3.10
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-683374	-575625	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	-683374	-575625	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-683374	-575625	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	735031	1459847	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-149191	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	51657	735031	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 20.09.2021 წ.

დირექტორი:   **ლევან საკანდელიძე**

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(900673)	244782
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(11459)	(33835)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1035251	(205569)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	123119	5378
სავალუტო კურსის ეფექტი	(2020)	(3501)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1914	37
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	123013	1914

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 20.09.2021 წ.

დირექტორი: _____



ლევან საკანდელიძე



თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.